უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№10 (101) 2019

ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებელი კურსები უნივერსიტეტში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელ კურსზე ახალი ნაკადი მიიღო. 62 აბიტურიენტი სრულფასოვნად მოემზადება ახალი საგამოცდო სისტემით გათვალიწინებული პროგრამის მიხედვით 3 სავალდებულო საგანში – ქართული ენა და ლიტერატურა; უცხო ენა; მათემატიკა ან ისტორია (მომავალი სპეციალობის მიხედვით) და მე-4, არჩევით საგანში.

გაგრძელება მე-2 გვ.

უცხოელი სტუდენტის მიერ აღმოჩენილი საქართველო

2019 წლის სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 33 უცხოელი სტუდენტი ისწავლის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში. მათ შორის არიან სტუდენტები ევროპის, ჩინეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სამხრეთ ამერიკის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან. ისინი თსუ სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების, ჰუმანიტარული მეცნიერებების, ეკონომიკა და ბიზნესის, იურიდიულის, მედიცინის, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტებზე ისწავლიან.

ერასმუს+ და ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში თსუ-მ პირველად მიიღო სტუდენტები გრონინგენის (ჰოლანდია), სამხრეთ დანიის (დანია), იელის (აშშ) და სან პაულოს (ბრაზილია) უნივერსიტეტებიდან.

მათ შორისაა იენის უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტი იოანა პრაისლერი, რომელიც უკვე მეოთხე სემესტრს აგარებს თსუ-ში გაცვლითი სტუდენტის სტატუსით. იოანამ ინტერვიუს ჩაწერა ქართულ ენაზე შემოგვთავაზა – როგორც აღმოჩნდა, ქართული კულტურისა და ისტორიის პარალელურად, ენაც შეისწავლა და ქართულადაც ესაუბრება მეგობრებს.

„3 წლის წინ, ისტორიის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლისას ვფიქრობდი, მიმელო მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში, ბუსტად ვიცოდი, რომ არ მინდოდა ისეთ ქვეყანაში სწავლის გაგრძელება, როგორიცაა იტალია, ესპანეთი ან საფრანგეთი. საფრანგეთში ცხოვრების გამოცდილებაც უკვე მქონდა. ამასთან, ყოველთვის მომწონდა აღმოსავლეთ ევროპის, საბჭოთა კავშირის ისტორია.

საქართველოში პირველად 2017 წლის თებერვალში ჩამოვედი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაცვლითი სტუდენტი გავხდი. ძალიან გამიმართლა, რომ იენაში რამდენიმე ქართველი გავიცანი, რომლებიც თბილისში მეხმარებოდნენ საცხოვრებელის მოძიებასა და სხვა საკითხების მოგვარებაში. თსუ სტუდენტური საცხოვრებელი ჩემთვის საუკეთესო შემოთავაზება არ ყოფილა, ის ძალიან შორს არის ქალაქის ცენტრიდან. ყველა არსებული გამოწვევის დაძლევაში ასევე მეხმარებოდა თსუ საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტი, ისინი ყოველთვის ცდილობენ და აკეთებენ ყველაფერს, რომ ჩემი აქ ცხოვრება და სწავლა იყოს კომფორტული“, – გვეუბნება იოანა. ის სწავლის პარალელურად საქართველოს მასშტაბით მოგზაურობდა.

„ვცურავდი ბათუმში, ვიყავი ლაშქრობებზე ბორჯომში, ვცოცავდი ყამბეგში, ვიფრინე სვანეთში და დავლიე ღვინო კახეთში. ძალიან სასია-

გაგრძელება მე-3 გვ.

უნგრული ენა ყველა მსურველისთვის

ოქტომბრიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უნგრული ენის შესწავლის მსურველებს უნგრულის საბაზისო კურსის გავლა შეუძლიათ. კურსი უფასოა და მისი მიზანი მსმენელებისთვის უნგრული ენის და კულტურის შესახებ საბაზისო ცოდნის მიცემაა. გარდა ამისა, მსმენელს საშუალება აქვს შეისწავლოს ყოველდღიური სიტყვიერი ფრაზები, ძირითადი გრამატიკული ფორმები. კურსის დასრულების შემდეგ, მსმენელი უნგრულ ენაზე საუბრის, კითხვის, მოისმენის უნარ-ჩვევებს შეიძენს. შეძლებს მარტივი დიალოგების წარმოებას, წაკითხული და მოსმენილი ტექსტის გაგებას. ამ ყველაფერში მათ უნგრელი მასწავლებელი, არაპად ელეში დაეხმარება, რომელიც ახლა თსუ-ში მოღვაწეობს.

არაპად ელეში ბუდაპეშტში დაიბადა და გაიზარდა. დოქტორის ხარისხი შედარებითი ლიტერატურის სფეროში სეგედის უნივერსიტეტში დაიცვა,. როგორც ამბობს, „თავისი პროფესიიდან გამომდინარე, მისთვის ყოველთვის საინტერესო იყო, თუ როგორ შეიძლება გადალახოს ადამიანმა კულტურათა შორის არსებული ენობრივი საზღვრები ლიტერატურისა და ხელოვნების გავლით“.

საქართველოში დაახლოებით ორ წლის წინ ოჯახის გამო ჩამოვიდა. მას შემდეგ თბილისში ცხოვრობს, თუმცა ცოტა დრო სოფელშიც გაატარა – როგორც განმარტავს, ქართულის შესასწავლად. ამ წლის გაზაფხულზე საკუთარი სპეციალობით მუშაობა გადაწყვიტა. ამიტომ ბალაშის ინსტიტუტის მიერ გამოცხადებულ (Balassi Institute, MFA

გაგრძელება მე-3 გვ.

LINGWING თსუ სტუდენტებისთვის

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს უკვე აქვთ საშუალება ქართულ პორტალ „ლინგვინგზე“ შეღავათიან ფასად შეისწავლონ უცხო ენები. თსუ-დან ონლაინ პლატფორმაზე 1500-ზე მეტი სტუდენტი დარეგისტრირდა, მათგან 200-მდე სტუდენტმა სპეციალური შეთავაზება გამოიყენა და გაიაქტიურა Lingwing-ის პრემიუმ პაკეტი.

მნიშვნელოვანი სიახლეა ისიც, რომ თსუ სტუდენტებთან ერთად, უკვე თსუ-ს ყველა თანამშრომელს შეუძლია სპეციალური პირობებით Lingwing-ზე პრემიუმ პაკეტის შეძენა. სტუდენტები და თსუ-ს თანამშრომლები ფასდაკლებას ავტომატურად მიიღებენ Lingwing-ზე თუ თსუ-ს მეილით დარეგისტრირდებიან @tsu.edu.ge-ზე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველია, რომელმაც „ლინგვინგთან“ თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა.

„მას შემდეგ სხვა უნივერსიტეტებმაც გამოხატეს თანამშრომლობის სურვილი. ამაში დიდი როლი მიღწეულმა შედეგებმა ითამაშა“, – გვეუბნება პლატფორმის დირექტორი, ვატო ველიაშვილი.

მემორანდუმის ფარგლებში მხარეები ქვეყანაში განათლების სფეროში ინოვაციური პროექტების განვითარებას შეუწყობენ ხელს, ასევე საჯარო ლექციების, ტრენინგების, მასტერკლასების, სხვადასხვა ტიპის კონკურსების ორგანიზებაში მზადყოფნას გამოხატავენ. "ლინგვინგი“ ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის სტუდენტების ჩართვას სხვადასხვა ღონისძიებაში, ევროპული ენების პოპულარიზაციის მიზნით, საქართველოში აკრედიტებული უცხოური ორგანიზაციების და დონორების ჩართულობას, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მიმარ-

გაგრძელება მე-4 გვ.

რუსთაველის ფონდის მიერ მხარდაჭერილი პროექტები თსუ-დან

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ დოქტორანტურის 2019 წლის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების კონკურსში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ლიდერობენ. შეგახსენებთ,რომ გამარჯვებული 56 პროექტიდან 29 პროექტი (გამარჯვებული პროექტების ნახევარზე მეტი) თსუ სტუდენტებს ეკუთვნით.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი, თემურ გუგუშვილი გამარჯვებულ სტუდენტებს შორისაა. მისი პროექტი სოფლის განვითარების ზოგადი პოლიტიკის მიმართულების ცვლილების ფონზე, საქართველოში სოფლად მცხოვრები შინამეურნეობების საარსებო წყაროების დივერსიფიკაციისა და ადაპტაციის პროცესის შესწავლას ეხება.

„მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თუ საერთაშორისო ინსტიტუტების მხარდაჭერით მიმდინარეობს სოფლის განვითარებისაკენ მიმართული მრავალი პროგრამა, სოფელში მცხოვრები მოსახლეობის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას კვლავ სიღარიბის დაძლევა და საბაზისო საჭიროებებზე ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ

გვ. 3

თსუ-ს საკალათბურთო გუნდის წარმომადგენელთა დაჯილდოება

დუდუ დადიანის მემორიალური თასის 2019 წლის მფლობელის თსუ საკალათბურთო გუნდის წარმომადგენელთა დაჯილდოება გაიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ღონისძიებას თსუ რექტორი გიორგი შარვაშიძე, საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი პაატა გურასპაული, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლები, კალათბურთელები, მწვრთნელები, გუნდის ექიმები, თსუ კალათბურთის გუნდის ფანკლუბის წევრები დაესწრნენ.

თსუ რექტორის, გიორგი შარვაშიძის თქმით, თსუ დიდი ხნის განმავლობაში იყო ერთ-ერთი წამყვანი გუნდი ქართულ კალათბურთში და ძალიან კარგია რომ შევძელით დაბრუნება სუპერლიგაში. „დუდუ დადიანის თასი კარგი ჯილდო და მოგივატორია იმისთვის, რომ უკეთესი შედეგები დავდოთ. ზოგადად მიმაჩნია, რომ საუნივერსიტეტო კალათბურთი და სპორტი არის ქვაკუთხედი დიდი სპორტის განვითარების. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რაც შეიძლება მეტი სტუდენტი იყოს ჩაბმული სპორტში, რადგან იგი ჯანსაღი ცხოვრების წესია. მივესალმებით ნებისმიერ გამარჯვებას, რომელიც მოტივაციას გაუჩენს სხვას, რომ გახდეს უფრო სპორტული“,- აღნიშნა თსუ რექტორმა.

გვ. 4

თსუ-ში ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციის მიერ ორგანიზებული სადოქტორო განათლების შესახებ ვორქშოპი ჩატარდება

ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციის მიერ ორგანიზებული სადოქტორო განათლების შესახებ ვორქშოპის ადგილი უკვე ოფიციალურად ცნობილია. მარსელის, დელფტის, ლისაბონის, ვალეტას და ამსტერდამის შემდეგ უკვე თბილისი. ასოციაციამ გადაწყვიტა, რომ შეხვედრა თსუ-ში, რეგიონის ლიდერ უნივერსიტეტში ჩააგაროს, რაც ამ ღონისძიების ევროკავშირის არაწევრ ქვეყანაში ჩატარების პირველი პრეცედენტია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 120-ზე მეტი ევროპული უნივერსიტეტის წარმომადგენელს უმასპინძლებს.

სკოლის მოსწავლეები გრაკლიან გორაზე არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილეობენ

თსუ სტუდენტების სამეცნიერო პრაქტიკის ბაზაზე, გრაკლიან გორაზე თბილისის 21-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის ვორკშოპი გაიმართა. ღონისძიება მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში შედგა. თსუ არქეოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ვახტანგ ლიჩელმა სკოლის მოსწავლეებს გრაკლიან გორაზე არსებული მუზეუმი დაათვალიერებინა, ჩაუტარა ლექცია საქართველოს არქეოლოგიის შესახებ, აჩვენა გათხრების შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი არტეფაქტები. მუზეუმის დათვალიერების შემდეგ, მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს არქეოლოგიურ გათხრებში.

„ძალიან კარგია, რომ ახალგაზრდები ინტერესდებიან არქეოლოგიით. მნიშვნელოვანია, რომ ინტერესის გაღვივება სკოლის ასაკიდან ხდება. ვფიქრობ, ღონისძიების მონაწილეებს მოეწონათ ისეთი ეროვნული მნიშვნელობის არქეოლოგიურ ძეგლზე ახალ აღმოჩენებში მონაწილეობა, როგორიც გრაკლიანი გორაა. მათ თავად მოიპოვეს არტეფაქტები და თავადვე მიუჩინეს ადგილი საცავში“, – აღნიშნა ვახტანგ ლიჩელმა. სკოლის მოსწავლეებმა დაათვალიერეს ახლადაღმოჩენილი სამარხები, მონაწილეობა მიიღეს თიხის ჭურჭლის რესტავრაციაში, გაეცნენ არქეოლოგიური გათხრების თავისებურებებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები საკმაოდ დიდი მოთხოვნით სარგებლობს, რასაც სულ ცოტა ხნის წინ გამოცხადებულ მიღებაზე რეგისტრირებულ აპლიკანტთა რაოდენობაც ადასტურებს.

8 პროგრამის 194 ვაკანტურ ადგილზე 1221 კანდიდატი დარეგისტრირდა, რომელთაგან 5 სპეციალური საჭიროებების მქონე პირია.

აღსანიშნავია, რომ ყველაზე დიდი მოთხოვნა ტურიზმის, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობისა გიდის და ბაგა-ბაღის აღმზრდელის სპეციალობებზე დაფიქსირდა. 2019 წლის შემდგომის ნაკადზე მიღება შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გამოცხადდა: ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი, ბიბლიოთეკარი, საბაჟო საქმე, სატვირთო გადამიდვების ლოგისტიკა, საოფისე საქმე, ტურიზმის პროგრამა, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი, შემფასებელი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული აპლიკანტები როგორც თბილისში, ისე ქუთაისში ისწავლიან.

თსუ რექტორმა გიორგი შარვაშიძემ ლატვიის უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებში მიიღო მონაწილეობა.

იუბილეს ფარგლებში ლატვიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში „საუკუნოვანი მოგზაურობის“ გამოფენა გაიხსნა, გახსნის ცერემონიას თსუ რექტორთან ერთად საქართველოს ელჩი ლატვიაში თეა მაისურაძეც დაესწრო. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ ევროკომისარი განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის საკითხებში გიბორ ნავრაჩიჩი და ევროკომისიის ვიცე-თავმჯდომარე, ვალდის დომბროვსკისი.

ასევე, გაიმართა საერთაშორისო სიმპოზიუმი "უნივერსიტეტი და საზოგადოება: განახლებული აქცენტი ეროვნულ ზრდასა და ფასეულობებზე." სიმპოზიუმს ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

თსუ რექტორმა ევროპელ კოლეგებთან ერთად ეროვნული და საზოგადოებრივი ღირებულებითი სისტემის ჩამოყალიბებაში უნივერსიტეტების როლზე, კვლევის, ინოვაციებისა და საგანმანათლებლო შესაძლებლობების განვითარების გზებზე იმსჯელა.

კლაუს შვაგერის პირადი ბიბლიოთეკის პრეზენტაცია

3500-მდე წიგნითა და ალბომით გერმანულ, ინგლისურ, იტალიურ და ფრანგულ ენებზე შეივსო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა. თსუ ემერიტუსი პროფესორის კლაუს ჰიპისა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს ყოფილი ელჩის ლადო ჭანტურიას ხელშეწყობით, თსუ ბიბლიოთეკას გერმანელი არქიტექტორის, ხელოვნებათმცოდნის, ტუბინგენის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორის კლაუს შვაგერის პირადი ბიბლიოთეკა გადმეცა.

ცნობილი გერმანელი მეცნიერის კლაუს შვაგერის პირადი ბიბლიოთეკა მისი გარდაცვალების შემდეგ, მისი ოჯახის გადაწყვეტილებით, 2017 წელს თსუ ბიბლიოთეკას გადმოეცა.თსუ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის ზურაბ გაიპარაშვილის თქმით, ცნობილი გერმანელი მეცნიერის კლაუს შვაგერის პირადი ბიბლიოთეკა, რომელიც 3500-მდე საბიბლიოთეკო ერთეულს ითვლის. უნივერსიტეტის აღმინისტრაციის დახმარებით ცენტრალური ბიბლიოთეკის შენობაში კეთილმოეწყო სივრცე, სადაც განთავსდა კლაუს შვაგერის პირადი კოლექცია. თსუ ცენტრალური ბიბლიოთეკას ერთ-ერთი უმდიდრესი წიგნადი ფონდი აქვს, იგი 4 მილიონამდე წიგნს მოიცავს

გაგრძ. მე-3 გვ.

ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებელი კურსები უნივერსიტეტში

1-ლი გვერდიდან

მოსამზადებელი კურსები უკვე არაერთი აბიტურიენტისთვის გახდა წარმატების საფუძვლის შემქმნელი და წინაპირობა. სოფია-ანა კვარაცხელია თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია. დღის განმავლობაში ყველაზე მეტ დროს თსუ-ში ატარებს. გასული წელიც თსუ-ში გააგარა, თუმცა, როგორც აბიტურიენტმა. სოფია-ანა კვარაცხელია ერთ-ერთია ცენტრის კურსდამთავრებულებს შორის, რომელი სწავლების შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა. იგი ჩვენთან საუბარში თსუ-ში გატარებულ აბიტურიენტობის წელს იხსენებს.

„თსუ აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრის აღმოჩენისას ჩემს სიხარულს არ ჰქონდა საზღვარი, რადგან ვიცოდი, რომ კვალიფიციური ლექტორები დამეხმარებოდნენ საუკეთესო შედეგის მიღწევაში. მართლაც, პედაგოგები თანამედროვე ტექნოლოგიებითა და პრეზენტაციების მეშვეობით უფრო მარტივად და სახალისოდ გვიხსნიდნენ ახალ, სრულიად უცხო, მასალას. ყველაზე მეტად მომწონდა სწავლების პერიოდი, უშუალოდ გაკვეთილების მსვლელობის პროცესი, როდესაც პედაგოგები ორიენტირებულნი იყვნენ იმაზე, რომ ჩვენ რაც შეიძლება მეტი გვესწავლა – არა მხოლოდ სასწავლო პროგრამიდან, არამედ ისეთ თემებსა და საკითხებზეც გვესსაუბრებოდნენ, რომლებიც ჩვენ ზოგად განათლებაში შეიტანდა წვლილს.

როდესაც დადგა დრო ამერჩია, თუ რა ფაკულტეტზე ჩავაბარებდი და რა განხრით წავსულიყავი, მოსამზადებელი ცენტრის პერსონალმა არ დაიზარა და ყველა მიმართულებაზე გვესაუბრა, ყველა ჩვენ შეკითხვას ამომწურავად უპასუხა და დაგვეხმარა გადაწყვეტილების მიღებაში.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს მოსამზადებელი ცენტრი დამეხმარა ერთიან ეროვნულ გამოცდებში კარგი შედეგისათვის მომეღწია და თსუ-ს სტუდენტი გავმხდარიყავი“, – ამბობს სოფია-ანა.

თსუ აბიტურიენტთა მომზადების ცენტრში ლექციები უკვე მიმდინარეობს. აბიტურიენტები მოსამზადებელ კურსზე პრეტესტის საფუძველზე შესაბამისი დონის ჯგუფებში ჩაირიცხნენ. მათი შეფასებები ყოველთვიური ინდივიდუალური ელექტრონული ჟურნალის მიხედვით (შეფასება, დასწრება, დავალება, აქტივობა) ხდება; 2 თვეში ერთხელ მათ ჩაუტარდებათ ტესტირება, დამატებით მაისი-ივნისის თვეში კი პროგრამას გადაიმეორებენ და საგამოცდო ფორმატის ტესტებზე იმუშავებენ. თსუ აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრის სწავლებისა და ყოველდღიური სიახლეების შესახებ ინფორმაციას ცენტრის ფეისბუქ გვერდზე გაეცნობით https://www.facebook.com/TSUabiturientebi/.

უცხოელი სტუდენტის მიერ აღმოჩენილი საქართველო

1-ლი გვერდიდან

მოვნო და სახალისო მოგონებებია. შეიძლება სწორედ ესეც იყო მიზეზი, რის გამოც ძალიან მოწყენილი ვიყავი აეროპორტში, გერმანიისკენ მიმავალ გზაზე. რამდენიმე კვირის შემდეგ უკვე გადაწყვეტილი მქონდა, რომ საქართველოში აუცილებლად ჩავიდოდი, თუმცა ეს არ იყო საკმარისი. კიდევ ერთხელ მივიღე გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა და ისევ ჩამოვედი თბილისში. ის სემესტრი იყო საუკეთესო სემესტრი, რაც კი მქონია ოდესმე. 2018 წელს თსუ-ში უკვე ბევრი გაცვლითი სტუდენტი იყო ჩამოსული. იმ თვეებში არამხოლოდ საქართველოს ულამაზეს ბუნებას, არამედ მის ისტორიას და კულტურას კიდევ უფრო უკეთ გავეცანი. გაუმჯობესდა არა მხოლოდ ჩემი ინგლისური, არამედ ქართულიც შევისწავლე“, – იხსენებს იოანა. 2018 წელს კი გერმანიაში დაბრუნებისას გადაწყვიტა, რომ კავკასიისმცოდნეობის მიმართულებით გაეგრძელებინა სწავლა.

„ამ მიმართულებით ლექციები შესანიშნავად არის დეტალიზებული, ინტერდისციპლინური და პროფესიონალური. 2018 წლის გაფხულში ძალიან ბევრჯერ მქონდა შესაძლებლობა დავსწრებოდი ისტორიისა და პოლიტიკის შესახებ კონფერენციებს საქართველოში. თბილისი იყო ჩემი სახლი და ჩემი ცხოვრების ცენტრი. ამ წლის თებერვალში, კვლავ ჩამოვედი თბილისში, დღის დიდ ნაწილს ვატარებდი ბიბლიოთეკაში, ვმუშაობდი თუშეთის მიმართულებით, ვესწრებოდი კონფერენციებს და ჩემს ლექციებს უნივერსიტეტში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩემს მეოთხე სემესტრს ვატარებ, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სტუდენტებთან ერთად, კვლავ კარგად ვგრძნობ თავს და მივირთმევ უგემრიელეს ქართულ კერძებს. ამ ყველაფრის შემდეგ გავაანალიზე, როგორია იყო უცხოელი და იცხოვრო საქართველოში. ყოველდღიურად უამრავ პრობლემას აწყდები, მნიშვნელოვანი კულტურული განსხვავებებია აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპას შორის. წარმოიდგინეთ, როგორია, როცა ტაქსის მძღოლები ხშირად გეკითხებიან, დაოჯახებული ვარ თუ არა, ან შევქმნიდი თუ არა ოჯახს მის შვილთან, ძმისშვილთან ან მასთან.

ყველაზე რთული საკითხი, რაზეც ყურადღება მინდა გავამახვილო, ეხება ქართველების დამოკიდებულებას და ცოდნას საკუთარ ქვეყანაზე. ძალიან ბევრი წიგნი წავიკითხე საქართველოსა და კავკასიის ისტორიაზე, დავესწარი ლექციებს საქართველოს ეთნოლოგიის, ფოლკლორისა და მითოლოგიის შესახებ. ვუყურე ყველა ქართულ ფილმს, რომლის გადათარგმნაც შემეძლო. ძალიან ბევრ ჩემს ქართველ მეგობარს უფრო მეგად მოსწონს გერმანია და გერმანული კულტურა, ვიდრე ქართული. ძალიან ვწუხვარ, როგორც ვითარდება ამჟამად ქართული საზოგადოება. ჩემი აზრით, განვითარების ამ პროცესის მთავარი შემაფერხებელი სწორედ განათლების ნაკლებობაა.

საქართველო ბოლო ორი ათასწლეული მუდმივად იყო სხვა ძალის მიერ ოკუპირებული, არ აქვს მნიშვნელობა იქნებოდა ეს მონღოლეთი, არაბეთი თუ სხვა. მიუხედავად ამისა, ქართველები უფრო და უფრო ძლიერდებოდნენ. ისინი ძლიერები იყვნენ არა მხოლოდ იმიგომ, რომ ახერხებდნენ ორგანიზებას, არამედ ყოველთვის ქმნიდნენ რაღაც ახალს, ყველაზე ცუდ მდგომარეობაშიც კი. მათ მონღოლური კერძისგან შექმნეს ხინკალი, ერთ-ერთი ყველაზე გემრიელი ქართული კერძი. სპარსეთთან ბრძოლების შედეგად განადგურდა არქიტექტურა, თუმცა ქართველებმა ორი განსხვავებული კულტურის შერწყმის შედეგად, ახალი არქიტექტურა შექმნეს. ქართველებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და სოციალურ დემოკრატიულ სახელმწიფოს ჩაუყარეს საფუძველი პროგრესულ კონსტიტუციასთან ერთად. არ ვიცი მივიჩნევ თუ არა საქართველოს ევროპულ ქვეყანას, მაგრამ ის ჩემთვის უფრო საინტერესოა, როგორც ევრაზიული ქვეყანა.

საქართველო ჩემთვის ყოველთვის არის თავისუფლებისა და მულტიკულტურალიზმის ქვეყანა, სადაც ცხოვრება მშვიდია და, მიუხედავად უცხო ენაზე საუბარისა, მაინც ძალიან კარგად ესმით შენი“, – ამბობს იოანა.

რუსთაველის ფონდის მიერ მხარდაჭერილი პროექტები თსუ-დან

1-ლი გვერდიდან

ლია ბობოხიძე

თემურ გუგუშვილი

სიღარიბეში მყოფი მოსახლეობის ნახევარი „ქრონიკულად ღარიბია“ და მათ განსაკუთრებულად უძნელდებათ არსებული გამოწვევების დაძლევა. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია შეფასდეს თუ რა გამოწვევები აქვთ სოფლად მცხოვრებ შინამეურნეობებს ახალი საარსებო წყაროების აღაპტაციისა და დივერსიფიკაციის პროცესში“, – გვიხსნის თემური“, – საქართველოში ქალაქის მოსახლეობამ სოფლად მცხოვრები აღამიანების რაოღენობას წინა საუკუნის 70-იან წლებში გადააჭარბა. მას შემდეგ ურბანიზაციის დონე ინარჩუნებს მზარდ ტენდენციას, თუმცა 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით, სოფლად საქართველოს მთლიანი მოსახლეობის კვლავ დიდი ნაწილი (40%-ზე მეტი) ცხოვრობს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სასოფლო ტიპის დასახლებებში ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად სოფლის მეურნეობაშია ჩართული, რომლის გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ნაგურალური მეურნეობა. შესაბამისად, ნაკლებად არის მიმართული კომერციალიზაციისაკენ და ძირითადად, გამოიყენება შინამეურნეობის სასურსათო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის. აღნიშნული ტენდენცია ნათლად აისახა მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის შედეგებში, რომლის მიხედვითაც, სოფლად მცხოვრები ღარიბი შინამეურნეობების პროცენტული მაჩვენებელი (53.6%) ქალაქთან შედარებით ბევრად მაღალია“, – ამბობს თემურ გუგუშვილი. მისი აზრით, კონკურსში გამარჯვება პირველ რიგში, კვლევითი პროექტის თემის აქტუალობამ განაპირობა. პროექტში ინოვაციური კვლევის მეთოდოლოგიაა გამოყენებული. ემპირიული თვისებრივი მონაცემების ანალიზისათვის შერჩეულია ინოვაციური თვისებრივი მონაცემების ანალიზის კომპიუტერული პროგრამა MAXQDA.

როგორც თემური გვიხსნის, აღნიშნული პროგრამის გამოყენებით შესაძლებელია მეთოდების ტიპოლოგიზაციისა და „Quantitizing“-ის პრინციპის ინტეგრირება და ინფორმაციის ეფექტური ანალიზი. აღნიშნული მიდგომების სინთეზი უზრუნველყოფს საკვლევი თემატიკის შესახებ სიღრმისეული ინფორმაციის მიღებას და მნიშვნელოვნად ზრდის კვლევის, როგორც პრაქტიკულ, ისე სამეცნიერო ღირებულებას.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი თემურ გუგუშვილის კვლევით პროექტში საერთაშორისო კვლევითი ვიზიტებია ჰოლანდიასა და შვეიცარიაში. თემური გარდა აღნიშნული კვლევისა, სხვადასხვა პროექტშია ჩართული, მის საკვლევ ინტერესს წარმოადგენს მთისა და სოფლის განვითარება კავკასიის რეგიონში.

„კვლევითი პროექტის ფარგლებში დაგეგმილია კვლევითი ვიზიტი ვაგენინგენის უნივერსიტეტში, სოფლის სოციოლოგთა ჯგუფის წევრებთან (ჰოლანდია) და ბერნის უნივერსიტეტში, განვითარებისა და გარემოს ცენტრი (შვეიცარია). აღნიშნულ ინსტიტუტებში ვიზიტი მნიშვნელოვანია სამომავლო თანამშრომლობის ჩამოყალიბებისათვის. ვიზიტების ფარგლებში დაგეგმილია კოლაბორაციული აკადემიური სტატიების გამოქვეყნება.

დიდ ყურადღებას ვუთმობ სამეცნიერო კვლევითი ინიციატივას მთისა და სოფლის განვითარებისათვის კავკასიის რეგიონში (Scientific Research Initiatives for Mountain & Rural Development Caucasus Region), ინიციატივა არის ადგილობრივი და საერთაშორისო მეცნიერების თანამშრომლობით ჩამოყალიბებული პლატფორმა. მისი მიზანია სოფლად და მაღალმთიან დასახლებების წინაშე არსებული გამოწვევების დასაძლევად მტკიცებულებაზე დაფუძნებული საერთო ხედვის ჩამოყალიბება. ინიციატივის ფარგლებში ხორციელდება სამეცნიერო კვლევითი პროექტები, რომლებიც ფოკუსირებულია ტურიზმის განვითარების, დაცული ტერიტორიების მართვის, ადგილობრივ ეკონომიკურ საქმიანობასა და მოსახლეობის მონაწილეობის საკითხებზე. აქტიურად ვმონაწილეობ საერთაშორისო კონფერენციებში, უახლოეს მომავალში მივემგზავრები კავკასიის მთის ფორუმზე (ანკარა, თურქეთი), 2020 წელს დაგეგმილი მაქვს სოფლის განვითარების კონფერენციაში (კაგმანდუ, ნეპალი) მონაწილეობა“, – ამბობს თემურ გუგუშვილი.

გამარჯვებულ თსუ სტუდენტებს შორის, მოწინავე ადგილზე არიან ბუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტები. მათ შორისაა, ლია ბობოხიძეც. მისი კვლევითი პროექტი ჰეტეროციკლურ ნაერთთა ქიმიის კიდევ ერთი ახალი მიმართულების განვითარებას გულისხმობს. ლია ბობოხიძემ შოთა რუსთაველის ფონდის გრანტი მაგისტრატურის საფეხურზეც მოიპოვა.

„პროექტი მოიცავს ჩემი სადოქტორო კვლევის ძირითად ნაწილს. სადოქტორო კვლევა სამაგისტრო ნაშრომის გაგრძელებაა. გამომდინარე იქედან რომ სამაგისტრო პროექტმაც ასევე გაიმარჯვა, უფრო მეტად თავდაჯერებული გავხდი, რომ მომავალი კვლევაც, რომელიც სამაგისტროზე დაყრდნობით გრძელდება, ასევე წარმატებული იქნებოდა. ბიოლოგიურად ახალი პრეპარატების სინთეზი და კვლევა, მსოფლიოში აქტუალურ თემას წარმოადგენს. ამ მხრივ ჩემი სადოქტორო კვლევაც ცალსახად მნიშვნელოვანია. კვლევა გულისხმობს ახალი პოტენციური დნმ ინტერკალატორების-პიროლოინდოლოქინოქსალინების სინთეზს.

ამ ნივთიერებების შემადგენელი ძირითადი ბირთვები მაღალი ფიზიოლოგიური აქტიურობით ხასიათდებიან. ძირითადი იდეა კი სწორედ ისეთი ახალი ნივთიერებების დასინთეზებაა, რომელთაც ამავდროულად ბიოლოგიური ან სხვა აქტიობა ახასიათებთ. ამ ტიპის ორგანული ნივთიერებების კვლევა ჰეტეროციკლურ ნაერთთა ქიმიის კიდევს ერთი ახალი მიმართულების განვითარებას გულისხმობს“, – ამბობს ლია. კვლევაზე მუშაობა უკვე დაწყებული აქვს, მის სამომავლო გეგმებში ფუნდამენტური კვლევების განხორციელება შედის, თუმცა ბუსტი თემატიკა ჯერ განსაზღვრული არ აქვს.

„შესაძლოა იგივე თემატიკის ფუნდამენტური კვლევები გავაგრძელო, ან სრულიად სხვა თემატიკის დამუშავებას შევუდგე. ჩემს სადოქტორო კვლევაზე მუშაობა უკვე დავიწყეროდგან მე-4 სემესტრელი ვარ. დაგეგმილი მაქვს, რომ პროექტის ფარგლებში სამუშაოს ნაწილი შევასრულო გერმანიაში, ბაარლანდის ორიგანული ქიმიის ინსტიტუტში. ჩემი მთავარი მიზანი სადოქტორო კვლევის წარმატებით განხორციელებაა და ამის დიდი იმედი მაქვს“, – ამბობს ლია ბობოხიძე.

უნგრული ენა ყველა მსურველისთვის

1-ლი გვერდიდან

Hungary) კონკურსში მიიღო მონაწილეობა, რომელიც წარმატებით გაიარა. ახლა უნგრეთის ლექტორთა ქსელის (Visiting Lecturer Network, Hungary) მოწვეული თანამშრომელია და, ამავე დროს, თსუ-ში საქმიანობს. ცნობისათვის, აღნიშნული ქსელიდან დღესდღეობით 50 მასწავლებელია მივლინებული მსოფლოს 26 ქვეყანაში.

საქართველოს და უნგრეთს შორის უმაღლესი განათლების სფეროში აქტიური თანამშრომლობის შედეგად, ყოველწლიურად 80-მდე ქართველი სტუდენტი მიდის უნგრეთის სხვადასხვა უნივესიტეტში სასწავლად, უნგრეთის მთავრობის დაფინანსებულ სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში. თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა უნგრული ენის კურსიც სახელმწიფო უნივერსიტეტში. საბაზისო უნგრულის შესწავლის მსურველებს განცხადების წარდგენა თსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრში შეუძლიათ.

„უკვე ორი წელია, რაც ამ ქვეყანაში ვცხოვრობ. უნგრული ენა აქამდე არ ისწავლებოდა, ამიტომ დიდი პაგივია, რომ ამ ისტორიულ უნივერსიტეტში მე შემიძლია ვიყო პირველი უნგრული ენისა და კულტურის ლექტორი, სხვა უცხოელ მასწავლებელებს შორის. აქამდე ჩემი გამოცდილება სამეცნიერო სფეროს მოიცავდა, თუმცა, ამავე დროს, კერძო სწავლების პრაქტიკაც მაქვს – უნგრულ ენას ვასწავლიდი უცხოელებს. ვთვლი, რომ ჯგუფური სწავლება ძალიან საინტერესო იქნება. ძალიან მოხარული ვარ, რომ იმ უნივერსიტეტში შემიძლია დავიწყო მუშაობა, სადაც ბევრი მნიშნელოვანი ქართველი ინტელექტუალი სწავლობდა და მუშაობდა, და რომელიც უძველესი და უდიდესია საქართველოს უნივერსიტეტებს შორის“, – აღნიშნავს ჩვენთან საუბარში არპად ელემი.

არპაღს იმედი აქვს, რომ მისი კურსით ბევრი დაინტერესდება. უცხო ენის ცოდნის მთავარი უპირატესობა ისაა, რომ მისი საშუალებით „სტუდენტებს შეუძლიათ თავისთვის ახალი ქვეყანა, კულტურა, ლიტერატურა და ტრადიციები აღმოაჩინონ. ეს შეიძლება იყოს შორეული კულტურები, ან ზოგიერთიც ისეთი, რომელთა შესახებაც მათ გარკვეულწილად იციან. მაგალითად, შანდორ პეტეფი საქართველოში საკმაოდ ცნობილია, თან ქართველების გულთან და აზროვნებასთან ახლოს არის. ჩემი ოცნებაა, უფრო მეტი უნგრული ლიტერატურა გადაითარგმნოს ქართულად. ამისთვის აუცილებელ პირობას ენის უმაღლეს დონეზე ცოდნა წარმოადგენს. და პირიქით, უნგრულ ენაზე უფრო მეტი ქართული ლიტერატურა გვჭირდება. გარდა ამისა, ენის შესწავლა სავარაუდოდ სასარგებლო იქნება სტუდენტებისთვის, რომლებიც უნგრეთში მიდიან სხვადასხვა ფაკულტეტებზე სასწავლად“, – მიიჩნევს უნგრელი ლექტორი.

თავად უნგრეთში ყოფნისას ყოველთვის უყვება ოჯახს და მეგობრებს იმ შთაბეჭდილებებსა და გამოცდილებაზე, რაც საქართველოში ყოფნისას მიიღო. კერძოდ, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი უნიკალური ადგილები, მრავალფეროვანი ბუნება აქვს საქართველოს, თუ რამდენად გემრიელია აქაური სამზარეულო ყველა რეგიონში, როგორი მრავალფეროვანი ტრადიციები და სტუმართმოყვარეობა გამოარჩევს ამ ქვეყანას.

JULAB-ის წამყვანი მასწავლებლების ვორქშოფი ქართველი მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართველ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს სახალისო ექსპერიმენტებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდები გაცნეს იულიხის კვლევითი ცენტრის სასკოლო ლაბორატორიის JULAB-ის წამყვანმა მასწავლებლებმა. თსუ-ში 5 დღის განმავლობაში გერმანელი სპეციალისტებმა ჩააგარეს.

უნივერსიტეტში გამართული ვორქშოფი მოიცავდა როგორც ექსპერიმენტულ, ისე თეორიულ ნაწილს. ქართველ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ გერმანიაში გაემგზავრონ და საჩვენებელ გაკვეთილებს დაესწრონ.

საინფორმაციო შეხვედრა პირველსემესტრელ დოქტორანტებთან

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა პირველსემესტრელ დოქტორანტებთან. შეხვედრაზე აღმინისტრაციის წარმომადგენლებმა დოქტორანტებს გააცნეს ისეთი მნიშვნელოვან საკითხები, როგორიცაა: დოქტორანტურის საფეხურის გაცვლითი პროგრამები და გრანტები; სამეცნიერო ფონდები; თსუ-ს ელექტრონული და ბეჭდური ჟურნალები; სამეცნიერო კონფერენციები; დოქტორანტის გზა ჩარიცხვიდან დაცვამდე; საბიბლიოთეკო რესურსებისა და სამეცნიერო ბაზების გამოყენება და აკადემიური წერის რესურსები; სტუდენტური პროექტების დაფინანსება.

საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“

თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტისა და კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაციის (GCLA) ორგანიზებით საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“ გაიხსნა, რომლის თემასაც „1980-90-იანი წლების პოლიტიკური მოვლენები და ლიტერატურული დისკურსი“ წარმოადგენს.

სიმპოზიუმში მონაწილეობს 100-ზე მეტი მეცნიერი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის: აშშ, გერმანია, იტალია, სამხრეთ კორეა, მაკედონია, არაბეთის გაერთიანებული საემირო, ბულგარეთი, ლიეტუა, ლატვია, უკრაინა, აზერბაიჯანი, რუსეთი; აგრეთვე, საქართველოს სხვადასხვა საუნივერსიტეტო და კვლევითი ცენტრების წარმომადგენლები თბილისიდან და რეგიონებიდან.

სიმპოზიუმი 3 დღის განმავლობაში იმუშავებს. დამსწრე საზოგადოებას საშუალება ექნება იხილოს მსს არქივიდან წარმოდგენილი გასული საუკუნის 80-90-იანი წლების ამსახველი ფოტომასალა. 26-27 სექტემბერს სესიები გაგრძელდება ლიტერატურის ინსტიტუტში.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ნეიროგლიის ფუნქციები“ -2019

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ნეიროგლიის ფუნქციები“. კონფერენცია მიეძღვნა გამოჩენილი ნეირომეცნიერის ალექსანდრე როიტბაკის დაბადების 100 წლისთავს. აკად. ალექსანდრე როიტბაკი 3 ათეულ წელზე მეტი მოღვაწეობდა თსუ ბიოლოგიის ფაკულტეტის ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრაზე, კითხულობდა ლექციების კურსს ელექტროფიზიოლოგიაში.

საერთაშორისო კონფერენციაში „ნეიროგლიის ფუნქციები“ მონაწილეობდნენ 10 ევროპული ქვეყნის, აშშ-სა და იაპონიის წამყვანი მეცნიერები. ღონისძიების მიზანია გააგრძელოს აკად. ალექსანდრე როიტბაკის მემკვიდრეობა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოში ნეირომეცნიერების აღორძინებასა და განვითარებას.

კონფერენცია გაიმართა თსუ ბუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის, ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის, საქართველოს ნეირომეცნიერების ასოციაციის, ეროვნული აკადემიის, სამეცნიერო ჟურნალი „გლია“ და „აკადემია ევროპეას“ თბილისის რეგიონული ცენტრის ორგანიზებით. ასევე შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG), ტვინის კვლევის საერთაშორისო ორგანიზაციის (IBRO), ტვინის იმუნოლოგიისა და გლიის ცენტრის (BIG) და ვირჯინიის უნივერსიტეტის ნეირომეცნიერების დეპარტამენტის (აშშ) ფინანსური მხარდაჭერით.

„1+4 საგანმანათლებლო პროგრამის“ სტაჟირების პროგრამა იწყება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ქეთევან ციხელაშვილმა „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის“ სტუდენტებთან, თემაზე „სამოქალაქო თანასწორობა და ინტეგრაცია“ საჯარო ლექცია წაიკითხა.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ, საქართველოს გაეროს ასოციაციასთან თანამშრომლობით შემუშავებული საჯარო სექტორში სტაჟირების პროგრამა: „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის“ (1+4 პროგრამის) მონაწილე სტუდენტებისთვისაა განკუთვნილი და უკვე მესამე წელია წარმატებით ხორციელდება. სტაჟირება წელიწადში ორჯერ – შემოდგომასა და გაზაფხულზე ცხადდება. პროგრამის ფარგლებში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს შესაძლებლობა ეძლევათ კონკურსის საფუძველზე ჩაერთონ სტაჟირების პროცესში.

არნოლდ ჩიქობავას 120 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა და წარდგენა

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ენათმეცნიერების ინსტიტუტის ორგანიზებით არნოლდ ჩიქობავას 120 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა და წარდგენა გაიმართა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 2018 წლის 8 დასახელების ბეჭდური და ელექტრონული პროდუქცია, კერძოდ:

აკად.არნოლდ ჩიქობავას თხზულებათა მე-13 და მე-14 ტტ.; აკად.არნოლდ ჩიქობავას დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი: – საერთაშორისო სიმპოზიუმი,

პროგრამა (+მოსაწვევი) და მასალები;
„არნოლდ ჩიქობავას საკითხავების“ 29-ე კონფერენცია,
ინსტიტუტის 77-ე სამეცნიერო სესია;
38-ე რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, რომლებშიც ასახულია ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ 2018 წელს გაწეული მრავალმხრივი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.

ღია კარის დღე თსუ მულტიმედია ცენტრში

თსუ მულტიმედია ცენტრში ღია კარის დღე გაიმართა, სადაც დაინტერესებულთ საშუალება ჰქონდათ გასცნობოდნენ ცენტრის და თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქმიანობს. ვიზიტის ფარგლებში სტუმრებს მიეცათ საშუალება მონაწილეობა მიეიღოტ ჟურნალისტური პროდუქციის შექმნაში (კერძოდ, განხორციელდება მოდელირებული ჩაწერა, მსურველები ჩაერთვებიან პრაქტიკულ საქმიანობაში – მოერგოთ წამყვანის ამპლუა, ჩაწერათ ინტერვიუები, დაეამონტაჟებინათ როგორც ვიდეო, ისე აუდიო მასალა). ღია კარის დღის ფარგლებში მოხდა ფაკულტეტის 6 მიმართულებისა და ინსტიტუტების მიერ მომზადებული პროდუქციის (სამეცნიერო და პოპულარული ჟურნალების, საკონფოერენციო მასალების, სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების და სხვ.) გამოფენა.

უნგრეთის დელეგაციის ვიზიტი თსუ-ში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უნგრეთის სახელმწიფო მინისტრი, სტრატეგიისა და რეგულაციების მიმართულებით (ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სამინისტრო) გეორგ ლაზლო ეწვია.

გეორგ ლაზლო თსუ რექტორის მოადგილეს ნინო ოკრიბელაშვილს შეხვდა. შეხვედრაზე საქართველოსა და უნგრეთის სახელმწიფოების საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ურთიერთობებისა და მომავალი თანამშრომლობის გეგმები განიხილეს.

გეორგ ლაზლო საქართველოში „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის“ ფარგლებში იმყოფება.

მეიქათონი

„მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი 2019"-ის ფარგლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში "მეიქათონი" ჩაგარდა. პროექტი თსუ ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის ორგანიზებით განხორციელდა. სამი დღის განმავლობაში მეიქათონის მონაწილეები სოფლის მეურნეობის, ღამის ეკონომიკის, ინოვაციური განათლების სფეროებში არსებულ მდგომარეობას. ღონისძიების მიზანი იყო მეიქათონში მონაწილე სტუდენტებმა შეძლონ პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაჭრის გზების ძიება და რაც მთავარია, ამ იდეების პროექტებად ქცევა.

თეორიულ და ნაწილაკების ექსპერიმენტულ ფიზიკაში VII საერთაშორისო კონფერენცია და ვორქშოპი

„მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი 2019"-ის ფარგლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თეორიულ და ნაწილაკების ექსპერიმენტულ ფიზიკაში VII საერთაშორისო კონფერენცია და ვორქშოპი გაიმართა.

საერთაშორისო სკოლისა და კონფერენციის ფარგლებში საქართველოს, სომხეთის, თურქეთისა და ირანის მაგისტრებსა და დოქტორანტებს მსოფლიოში წამყვანმა მეცნიერებმა კვანტური ქრომოდინამიკის თანამედროვე მიღწევების შესახებ ლექციები წაუკითხეს.

საერთაშორისო სკოლასა და კონფერენციას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბონისა და ზიგენის უნივერსიტეტები და ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთობლივად აგარებენ.

ფრანგი მეცნიერების ვიზიტი თსუ-ში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ცნობილი ფრანგი მეცნიერები ახილე სტოჩი (Achille Stocchi) და სერგეი ბარსუკი (Sergey Barsuk) ეწვივნენ. ახილე სტოჩმა წაიკითხა ლექციას: „საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის (CNRS) ორსეს ახალი მულტი-პროფილური ლაბორატორია".

ფრანგი მეცნიერების ვიზიტის ძირითადი მიზანს ქართველი კოლეგებისთვის ორსეს ლაბორატორიის სამეცნიერო საქმიანობის გაცნობა, ქართულ-ფრანგული სამეცნიერო პროექტების ხელშეწყობა და მაღალი ენერგიების ფიზიკის ტრანსევროპული სკოლის საქართველოში გამართვის შესაძლებლობის განხილვა წარმოადგენდა.

ახილე სტოჩი საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის (CNRS) ერთ-ერთი მთავარი ლაბორატორიის, კერძოდ კი, ორსეს წრფივი ამაჩქარებლის ლაბორატორიის (LAL-Orsay) დირექტორი და პარიზ-XI უნივერსიტეტის პროფესორია (Paris XI, Paris-Sud). სერგეი ბარსუკი კი ამავე ლაბორატორიის წამყვანი მკვლევარი, განყოფილების გამგე და ამავდროულად პარიზ-XI უნივერსიტეტის პროფესორი

თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ღია კარის დღე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ღია კარის დღე მოეწყო. პირველი კორპუსის ეზოში ოკუპაციური თერაპიის სამეცნიერო შოუ გაიმართა. მოეწყო დამხმარე საშუალებების გამოფენა, მოხდა სიტუაციების მოდელირება, რომელშიც დამსწრე საზოგადოებას ინტერაქტიული ჩართვის შესაძლებლობა მიეცა. სამეცნიერო შოუს მიზანს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ახალი საბაკალავრო პროგრამის – ოკუპაციურ თერაპიის პოპულარიზაცია წარმოადგენდა.

ასევე მოეწყო ფსიქოლაბის შემეცნებით-ექსპერიმენტული ტური. სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ: ენახათ ფსიქოლოგების მიერ ჩატარებული, ყველადროის ყველაზე საინტერესო ექსპერიმენტები და თავად მიეღოთ მონაწილეობა სხვადასხვა სახალისო აქტივობაში.

პროექტის ფარგლებში გაიმართა სამეცნიერო შოუ, რომლის ფარგლებშიც დამსწრე აუდიტორია გაეცნო განათლების მეცნიერებათა რამდენიმე თემატურ პროგრამას ქართულში, ბიოლოგიაში, მათემატიკასა და ხელოვნებაში.

LINGWING თსუ სტუდენტებისთვის

1-ლი გვერდიდან

თულებით სტუდენტური სტარტაპების ხელშეწყობის მიზნით ურთიერთთანამშრომლობას.

Lingwing.com ინტერაქტიული ონლაინ პლატფორმაა, სადაც შესაძლებელია მცირე დროში უცხო ენების შესწავლა სახალისო დავალებების მეშვეობით. ვატო ველიაშვილი მიღწეული წარმატებებისა და ორი მნიშვნელოვანი სიახლის შესახებ გვიყვება.

„ძალიან ახლო წარსულში სტუდენტებს, რომ ვუყვებოდეთ ჩვენი პროდუქტის შესახებ, ისინი გაკვირვებულები გვეკითხებოდნენ, როგორ უნდა ესწავლათ ენა ონლაინ. ახლა როცა უკვე კარგად გაიგეს პროდუქტის შესახებ, დარწმუნდნენ, რომ Lingwing-ზე ენის სწავლას უმარტივესად და საკმაოდ მოკლე დროში ახერხებენ, თანაც საკმაოდ დიდი არჩევანი აქვთ, სიიტზე 6 ენის შესწავლაა შესაძლებელი.

უკვე 1500-ზე მეტი სტუდენტია თსუ-დან დარეგისტრირებული, 200-მდე სტუდენტმა გამოიყენა სპეციალური შეთავაზება და გაიაქტიურა Lingwing-ის პრემიუმ პაკეტი. მათი შედეგები მართლა საოცარია, თითო სტუდენტი საშუალოდ 2 ენას მაინც სწავლობს და კურსებს ერთ თვეზე მცირე პერიოდშიც ასრულებენ. გვიხარია, რომ სტუდენტებმა ირწმუნეს ონლაინ სწავლების და იმედი გვაქვს თავს მხოლოდ უცხო ენების სწავლით აღარ იზღუდავენ და სხვა მიმართულებებითაც ეძებენ ონლაინ კურსებს.

თავიდან სტუდენტები ფასდაკლებას ლინკზე გადასვლით იღებდნენ, ახალი სასწავლო წლიდან ეს პროცედურა კიდევ უფრო გავამარტივეთ. ასევე გავაფართოვეთ ჩვენი შეთავაზების აუდიტორია და სტუდენტების გარდა უკვე თსუ-ს ყველა თანამშრომელს შეუძლია სპეციალური პირობებით Lingwing-ზე პრემიუმ პაკეტის შეძენა. ამიერიდან, სტუდენტებით და თსუ-ს თანამშრომლებიც ფასდაკლებას ავტომატურად



მიიღებენ Lingwing-ზე თუ თსუ-ს მეილით დარეგისტრირდებიან @tsu.edu.ge-ზე. რამდენიმე თვეში უკვე ინგლისურის B1 დონეც დაემატება პლატფორმაზე, რომელსაც უამრავი სტუდენტი ელოდება“, – ამბობს ვატო ველიაშვილი.

თსუ-ს საკალათბურთო გუნდის წარმომადგენელთა დაჯილდოება

1-ლი გვერდიდან

კალათბურთელებს მადლობის სიგელები თსუ კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი ხარჯავანიძემ გადასცა. თსუ საკალათბურთო გუნდის მომავალ გეგმებზე ისაუბრა კალათბურთელმა გიორგი კორსანტიამ: „ჩვენი გუნდი ახალი მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული, გვყავს ახალი სამწვრთნელო შტაბი. ჩვენი მიზანია შევთამაშდეთ, ერთმანეთს უკეთ გავუგოთ. შემდეგ, რაც შეიძლება ოპტიმალურ ფორმაში შევიდეთ და მოვახერხოთ, რომ რეგულარულ სეზონში მაღალი ადგილი დავიკავოთ და ფლეი ოფში მაქსიმალურ შედეგს მივაღწიოთ. პირველ რიგში, ოთხეულში გავიდეთ და მაქსიმუმი იქნება ჩემპიონობა“.

ღონისძიებაზე თსუ-ს რექტორმა გიორგი შარვაშიძემ 45 წლის განმავლობაში თსუ საკალათბურთო გუნდების მწვრთნელი ნუგზარ მარკოიშვილი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის უნივერსიტეტის საიუბილეო მედლით დააჯილდოვა. „უნივერსიტეტს ძალიან დიდი ტრადიცია აქვს, მისი დაარსებიდან მოყოლებული კალათბურთი ყოველთვის იყო მაღალ დონეზე. მადლობა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, რომელიც ძალიან ბევრს აკეთებს იმისთვის, რომ უნივერსიტეტის კალათბურთი იყოს შესაბამის სიმაღლეზე“, – განაცხადა ნუგზარ მარკოიშვილმა.

„ვულოცავ უნივერსიტეტს ამ დიდ წარმატებას და ვისურვებდი, რომ არა მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არამედ სხვა უნივერსიტეტებიც ჩაებან იმ ფერხულში, რასაც ქართული კალათბურთის სამსახური ჰქვია. ვფიქრობ, შორს არ არის ის დრო, როცა სუპერლიგაში მხოლოდ და მხოლოდ თსუ არ იქნება წარმოდგენილი“, – აღნიშნა საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა პაატა გურასპაულმა.

დუდუ დადიანის მემორიალური ტურნირის ფინალში თსუ-ს კალათბურთელებმა ბათუმის გუნდი ანგარიშით 87:69 დაამარცხეს. ტურნირის საუკეთესო კალათბურთელად თსუ-ს ცენტრფორვარდი გიორგი კორსანტია დასახელდა.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებგვერდი: www.tsu.edu.ge